



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

2020 წლის 27 ნოემბრის

ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 17:00

დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) თამარ კერესელიძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირს წარმოდგენილი ჰქონდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული პირის განცხადება თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

დაკმაყოფილდეს თამარ კერესელიძის მიერ წარმოდგენილი განცხადება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ნინო მაისურაძის და მარიამ ჭანტურას განცხადებებს გაწევრიანების შეახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყეს 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო მაისურაძის და მარიამ ჭანტურას განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) დავით შანიძის განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს დავით შანიძის მიერ წარმოდგენილი განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) სოფიო ასიტაშვილის 2020 წლის 24 ნოემბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ მას 2016 წელს შეუწყდა ასოციაციის წევრობა საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო. მას მითითებულ პერიოდში არ განუხორციელებია

საადვოკატო საქმიანობა და აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ითხოვდა საწევრო დავალიანების საპატიოდ ჩათვლას და ხელახლა გაწევრიანებას.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიზანშეწონილია, აღნიშნული საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან და განხილულ იქნას იმ სხდომაზე, რომლის ფარგლებშიც საბჭო იმსჯელებს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილ ინდივიდუალურ მოსაზრებებზე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: სოფიო ასიტაშვილის 2020 წლის 24 ნოემბრის განცხადება განხილულ იქნას აღმასრულებელი საბჭოს იმ სხდომაზე, რომლის ფარგლებშიც საბჭო იმსჯელებს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილ ინდივიდუალურ მოსაზრებებზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად **იამზე ბერიძის, ქეთევან მამალაძის, თამარ წილოსანის, ეკატერინე ჯიბუტის** განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელ წევრს, რომელსაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვს გადასახდელი, ეცნობოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“

ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა, წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული პირების განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, 2020 წლის 5,6,12,13,19,20 და 26 დეკემბერს ჩანიშნული ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების საკითხზე მსჯელობა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N 699 დადგენილებით, ცვლილებები შევიდა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებაში. აღნიშნული ცვლილებებით, დაწესდა მთელი რიგი დამატებითი შეზღუდვები, რამაც წარმოშვა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებისთვის შემაფერხებელი გარემოებები. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ შეჩერდა როგორც საქალაქთაშორისო რეგულარული გადაყვანები, ასევე ქ. თბილისის ფარგლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირება. აღნიშნული შეზღუდვის ფონზე, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება გამოიწვევს მონაწილეთა დიდი რაოდენობის არათანაბარ პირობებში ჩაყენებას, რადგან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ელექტრონულად, რომლის პროგრამული მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია გამოცდის ყველა მონაწილის ერთ - სპეციალურად აღჭურვილ საგამოცდო ცენტრში გამოცხადება და ამასთან, გამოცდაზე რეგისტრირებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ასობით

მონაწილე. თბილისის მასშტაბითაც, იმ მონაწილეთათვის, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობს, საგამოცდო ცენტრამდე მისვლის ერთადერთი საშუალება ტაქსის მომსახურება იქნება.

წევრებმა გამოთქვეს დამატებითი მოსაზრებები, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარება აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რათა საფრთხე არ შეექმნას როგორც გამოცდის მონაწილეთა, ასევე საზოგადოების სხვა წევრთა ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ ერთდროულად 140-დან 170-მდე პირის ერთ დახურულ სივრცეში შეკრება და ამასთან, 6 საგამოცდო სესიის ჩატარება ქმნის ვირუსის გავრცელების რეალურ რისკს იმისდა მიუხედავად, თუ როგორ ზედმიწევნით იქნება დაცული პრევენციული ზომები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხს და ქვეყანაში არსებულ ვითარებას მივუდგეთ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით და გადაიდოს 2020 წლის დეკემბერში დაგეგმილი საკვალიფიკაციო გამოცდები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- 2020 წლის 5,6,12,13,19,20 და 26 დეკემბერს ჩანიშნული ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდები გადაიდოს და ჩატარდეს არაუადრეს 2021 წლის 15 თებერვლისა;
- 2020 წლის 5,6,12,13,19,20 და 26 დეკემბერს ჩანიშნული ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებზე რეგისტრირებულ აპლიკანტებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 5. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის საერთო კრების ჩატარების საკითხზე მსჯელობა.

აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდო.

საკითხი 6. ტატიანა მარგალიტაძის განცხადების განხილვა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ადვოკატ ტატიანა მარგალიტაძის 2020 წლის 20 ნოემბრის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ტატიანა მარგალიტაძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას ტატიანა მარგალიტაძის კანდიდატურა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 7.სხვადასხვა

(ა) დავით ვეშაგურის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ დავით ვეშაგურის 2020 წლის 20 ნოემბრის განცხადებას, რომელშიც იგი ითხოვდა 2020 წლის საწევრო გადასახადის 2021 წლის 1-ელ იანვრამდე გადავადებას რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიზანშეწონილია, აღნიშნული საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან და განხილულ იქნას იმ სხდომაზე, რომლის ფარგლებშიც საბჭო იმსჯელებს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილ ინდივიდუალურ მოსაზრებებზე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დავით ვეშაგურის 2020 წლის 20 ნოემბრის განცხადება განხილულ იქნას აღმასრულებელი საბჭოს იმ სხდომაზე, რომლის ფარგლებშიც საბჭო იმსჯელებს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილ ინდივიდუალურ მოსაზრებებზე.

(ბ) ლელა შავიძის განცხადების განხილვა.

2020 წლის 20 ნოემბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნავდა, რომ იგი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში (წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტი), ჰყავდა შეზღუდული

შესაძლებლობის სტატუსის მქონე ოჯახის წევრი და ჰქონდა ფინანსური პრობლემები. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, იგი ითხოვდა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მქონე, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 75%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2020 წლის საწევროს რაოდენობა შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ლელა შავიძის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, იმ წევრების მსგავსად, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადაუვადდათ 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მასაც გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა იგივე ვადით - 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო არ დაკმაყოფილდეს ლელა შავიძის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;
2. აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, მას განემართოს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის 2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე გადავადების თაობაზე;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე